აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ბიუროს

გადაწყვეტილება №59

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს განხილვის პროცედურა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვაზე.
2. წამყვან კომიტეტად განისაზღვროს უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.
3. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვის გრაფიკი (თან ერთვის).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე **ცოტნე ანანიძე**

ბათუმი
4 ნოემბერი, 2026 წელი.
№21

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს
2026 წლის 4 ნოემბრის №59 გადაწყვეტილების

დ ა ნ ა რ თ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვის

გ რ ა ფ ი კ ი

N	დასახელება	სხდომაზე განხილვის და წამყვან კომიტეტში დასკვნების წარმოდგენის ბოლო ვადა
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
2	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
3	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	12.11.2026წ.
4	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი	18.11.2026წ.